დანართი 1

# განცხადება

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების, კანდიდატების რეგისტრაციისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი და დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად.
2. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
   ა) უმაღლესი განათლება;
   ბ) გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ და ადამიანური რესურსების მართვის სფეროში;
   გ) სამოქმედო გეგმისა და კონცეფციის წარმოდგენა;
   დ) სასურველია გამოცდილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სფეროში;
   ე) სასურველია აკადემიური ხარისხი.
3. ადმინისტრაციის ხელომძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2010 წლის 27 მაისის 10 საათიდან.
4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2010 წლის 15 ივნისის 18 საათი.
5. აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატთა შემოსული განცხადებების განხილვის ბოლო ვადად განისაზღვროს 2010 წლის 5 ივლისი. კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატურა დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
6. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში (თსუ II კორპუსი, ოთახი N4)
7. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:
   ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) ავტობიოგრაფია;
   დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3/4–ზე;
   ე) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).